საქართველო

45277-01-2-201911290941

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/45277
29/11/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ თეა ახვლედიანს

ქალბატონო თეა,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 25 ნოემბერს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლიეტუვას რესპუბლიკაში ლევან ღვაჩლიანმა შეხვედრა გამართა ბატონ ედუარდას ინტსთან, რომელიც გახლავთ შვედური სამშენებლო კომპანიის „Majoni"-ს დირექტორის მოადგილე, ხოლო 2020 წლის 1 თებერვლიდან დაიკავებს ხსენებული ორგანიზაციის დირექტორის თანამდებობას (დეტალური ინფორმაცია „Majoni"-ს შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ ბმულზე: http://majoni.se/en/).

შეხვედრაზე ბატონმა ინტსმა განაცხადა, რომ მის კომპანიას სურვილი აქვს ლიეტუვის რესპუბლიკაში, მიმდინარე მშენებლობებზე, დაასაქმოს საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად უშუალოდ ჩამოვლენ საქართველოდან და 3 თვის მანძილზე გაივლიან შესაბამის მომზადებას. 3 თვიანი პერიოდის გასვლის შემდგომ, დამსაქმებელი შეაფასებს მათ საქმიანობას და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მოხდება ამ პირებისთვის გრძელვადიანი სამუშაო კონტრაქტების გაფორმება, როგორც ლიეტუვის რესპუბლიკაში ასევე, შვედეთის სამეფოში.

ბატონმა ინტსმა ასევე, გამოხატა მზაობა საჭიროების შემთხვევაში, ეწვიოს საქართველოს და გამართოს შეხვედრები სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან.

გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი პოზიცია ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge